აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი

**შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიჭაური-ნაღვარევი"-კმ0+000-კმ5+100 მონაკვეთზე დამცავი ზღუდარების მოწყობის.**

სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების

# სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2016 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დამატებითი ინფორმაცია
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი №2
7. დანართი №3
8. დანართი №4

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №1.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, ხოლო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დაწყებიდან არანაკლებ 160 კალენდარულ დღეს.

1.8. მას შემდეგ, რაც ზემოთაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება, რომელიც ძალაშია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "უ", "რ", ან "ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება

მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში-კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი და მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის

მოთხოვნით.

1.21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1.22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუმის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის” მე-12

მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;

ვ) თუ ის არის "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;

ზ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ცაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

1.23. ამ ინსტრუქციის 1,22, ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "უ", "რ", და "ტ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ", "გ", "ე", "ზ", ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისთვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ

გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/ და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია და საკვალიფიკაციო მონაცემები:

2.1.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ტექნიკური დოკუმენტაცია:

ა) რეკვიზიტები და სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2-ის მიხედვით.

ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი №3-ის შესაბამისად- ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი იქნას, როგორც Excel- ის სახით, ასევე PDF ფორმატით.

გ) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

პრეტენდენტ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, ცხრილში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

| N | ტექნიკის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | ექსკავატორი V-0.25 $მ^3$ | 1 |
| 2 | ავტოთვითმცლელი | 1 |
| 3 | ავტოამწე | 1 |
| 4 | ბეტონმრევი მანქანა | 1 |
| 5 | საბურღი მანქანა, ბურღის სიღრმით 3,5 მ. | 1 |

წარმოდგენილი იქნას მექანიზმების სარეგისტრაციო მოწმობის ან/და საკუთრების ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების (აუდიტის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, დასკვანა გაცემული უნადა იყოს 2016 წლის 1 მაისის შემდეგი თარიღით, ან/და დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურა ან/და სხვა დოკუმენტაცია) ასლები. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას, როგორც საიჯარო ხელშეკრულებების, ასევე ტექნიკის სარეგისტრაციო მოწმობის ასლებიც. საიჯარო ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს არანაკლებ 2016 წლის 30 ნოემბრისა.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ცხრილის №1 შესაბამისად.

ცხრილი №1

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | მოდელი, მარკა, სახ. ნომერი. | გამოშვების წელი | მდგომარეობა | მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

დ) ინფორმაცია პრეტენდენტი პირის გამოცდილების შესახებ.

უშუალოდ პრეტენდენტ პირს 2013 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 მაისამდე პერიოდის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს – ან/და გზებზე დამცავი ზღუდარების მოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით ან/და გზებზე ხელოვნური ნაგებობების -ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონების, ხიდების მშენებლობის სამუშაოები არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობით.

პრეტენდენტმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - სამუშაოების შესრულების აქტის-ფორმა №2 და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ასლები. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების რეესტრი ცხრილის №2-ის

შესაბამისად.

შემსყიდველი უფლებამოსილია ანალოგიური სამუშაოების იდენტიფიცირების მიზნით მოითხოვოს პრეტენდენტისაგან დამატებითი ინფორმაციის სახით სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის მიწოდებაც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ცხრილის №2 შესაბამისად.

ცხრილი №2

| № | ხელშეკრუ-ლების №, თარიღი | შესყიდვის ობიექტის დასახელება სპა №-ის მითითებით (სახ. შესყ-ის შემთხვევაში) | შემსყიდველის დასახელება | შესრულების ვადები | | ხელშეკრულების ღირებულება | ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ხელშეკრულებით | ფაქტიურად | | |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| და ა.შ. | | | | | | | |

**ე) ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების**

შესახებ, ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში.

ქვეკონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

*** ქვეკონტრაქტორის დასახელება და მისამართი;**

*** შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ღირებულება.**

***ანალოგიური სამუშაოების (გზებზე დამცავი ზღუდარების მოწყობის) შესრულების დამადასტურებელი ხელშეკრულებების და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, კერძოდ შესრულებული სამუშაოს აქტის - ფ. 2-ის და მიღება-ჩაბარების აქტები.**

*** ქვეკონტრაქტის ასლები**

მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

ქვეკონტრაქტორს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სახის სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია მოცემული ტენდერით.

**ვ) შესასრულებელი სამუშაოს გეგმა-გრაფიკი.**

გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების დადების მომენტისათვის წარმოადგინოს შემსყიდველთან შეთანხმებული ეტაპებად დაყოფილი გეგმა-გრაფიკი, სადაც დაფიქსირებული იქნება ყოველ კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოს

ღირებულება და კონკრეტულ ეტაპში განსაზღვრული დღეების რაოდენობა, ეტაპის ათვლა იწყება ხელშეკრულების დადების დღიდან, ხოლო ეტაპის დასრულების ვადა გამოიანგარიშება კონკრეტულ ეტაპში მითითებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

2.2. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწრმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან. (თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა, საგადასახადო გირავნობა ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს ყადაღის, საგადასახადო გირავნობის, ან/და პრეტენდენტის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის ამსახველი სრული დოკუმენტცია. წარმოდგენილი სრული დოკუმენტაციის ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის თაობაზე, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების პირობების სათანადოდ შესრულებას).

2.3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს სატენდერო წინადადებების მიღების დაწყების თარიღს.

2.3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

2.4.პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1. ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება ამ თავითა და ხელშეკრულების პირობებით.

3.2. სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.4.ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დადასტურებული მოცულობების მიხედვით, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი – ფორმა №2, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში.

3.5. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღების აქტში (ფორმა #2), მიღება-ჩაბარების აქტსა და ანგარიშფაქტურაში ნაჩვენები თანხების 5%-ის დაკავებას, რომელიც დაუბრუნდება მიმწოდებელს საბოლოო მიღება-ჩაბარების შემდეგ - მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების აქტის - ფორმა **N2,** ანაზღაურების სერთიფიკატის - ფორმა **N3,** სამუშაოების წარმოების ჟურნალის,

ფარული სამუშაოების აქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, მასალების სერთიფიკატის, დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის (დასკვნის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი, აკრედიტებული პირის მიერ დასკვნის გაცემის შემთხვევაში, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.) წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

**3.6.მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 30%-სა. ავანსის გაცემის წესი და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში;**

3.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

**3.7.1. არ მოითხოვება**

**3.8.** იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%- ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. აკრედიტებული პირის მიერ დასკვნის გაცემის შემთხვევაში, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო კომისიის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით. ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედებების (მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციის წარდგენა და სხვა) დროულად განხორციელებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პრეტენდენტს. **აღნიშნული დასაბუთების და/ან ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.**

4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

**შესყიდვის ობიექტია: შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიჭაური-ნაღვარევი"-კმ0+000-კმ5+100 მონაკვეთზე დამცავი ზღუდარების მოწყობა.**

**ობიექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 196 170 ლარს.**

4.1. სამუშაოთა შესრულების ვადები:

სამუშაოს შესრულების ვადაა 90 კალენდარული დღე ხელშეკრულების დადებიდან. სამუშაოების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ეტაპობრივად, სადაც დაფიქსირებული იქნება კონკრეტულ ეტაპში განსაზღვრული დღეების რაოდენობა და კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. ეტაპის ათვლა იწყება ხელშეკრულების დადების დღიდან, ხოლო ეტაპის დასრულების ვადა გამოიანგარიშება კონკრეტულ ეტაპში მითითებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4.2. სამუშაოთა შემადგენლობა

**შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიჭაური-ნაღვარევი"-კმ0+000-კმ5+100 მონაკვეთზე დამცავი ზღუდარების მოწყობა.**

შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში – დანართი №3.

4. 3. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; შემსრულებელი პასუხისმგებელია ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლის უნარიანობა.
- მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე და მგზავრებზე
-სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ნაგვისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.
-სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ემოქმედების მინიმუმადე დაყვანა.
- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება.
4.4. სამუშაოთა შესრულების წესი სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით. შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის ზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად.
სამუშაოების საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან მინიმუმ 3 (სამი) წელს. ამ პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტის ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ან/და აღმოჩენილი დეფექტები აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

## 4.5. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს გზების მშენებლობის მოქმედი სტანდარტების მიხედვით:
მუშაობის პროცესში შემსრულებელი ასევე ვალდებულია იხელმძღვანელოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციისა, ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების პირობების მოთხოვნების შესაბამისად.

## 4.6. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექზედამხედველი სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.
მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

## 5. ხელშეკრულების პროექტი
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესა ხებხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება ტენდერის ჩატარების შემდეგ.

ქ. ბათუმი "--- " "---------------- " 2016წ.

ერთის მხრივ აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა), წარმოდგენილი უფროსის გიორგი რომანაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ (მიმწოდებლის დასახელება, მისამართი), წარმოდგენილი დირექტორის ------------ სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებელის მიერ **შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიჭაური-ნაღვარევი"-კმ0+000-კმ5+100 მონაკვეთზე დამცავი ზღუდარების მოწყობის** (SPA --------.2016 წ, **CPV** კოდი-45200000) ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა.
_შემდგომში „სამუშაო''

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს: ---------- (სიტყვიერად) ლარი.

მუხლი 2. ანგარიშსწორების წესი

2.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება კონკრეტული ეტაპით სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა №2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა №3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდეს მომდევნო ეტაპით გათვალისწინებულ წინსწრებით სრულად ან/და ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული სამუშაოს შესრულების აქტის-ფორმა №2, ანაზღაურების სერთიფიკატის-ფორმა №3, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში. ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების (დამატებულიღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4. შემსყიდველი შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით ახდენს

შესრულებული სამუშაოების მიღების აქტში (ფორმა №2), მიღება-ჩაბარების აქტსა და ანგარიშფაქტურაში ნაჩვენები თანხების 5%-ის დაკავებას, რომელიც დაუბრუნდება მიმწოდებელს სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების შემდეგ - მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტის - ფორმა №2, ანაზღაურების სერთიფიკატის - ფორმა №3, სამუშაოების წარმოების ჟურნალის, ფარული სამუშაოების აქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, მასალების სერთიფიკატის, დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი, აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნადა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.) 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

**2.5. მიმწოდებელმა ექსპერტიზის დასკვნა უნდა წარმოადგინოს მის მიერ ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების წერილის დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა.**

2.6 აუცილებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.7. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 30% პროცენტის ოდენობით.

2.8. ავანსის მისაღებად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებიდან ან სსიპ "საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან.

2.9. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება სრულად მოხდება მიმწოდებლის მიერ სამუშაოს 80 %-ის ფაქტიური შესრულების დროს.

2.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.11. ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან ორი კვირის ვადაში.

2.12. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გაჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

**2.13. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.**

2.14.შემსყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისდარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუკავოს (გამოუქვითოს) მიმწოდებელს ასანაზღაურებელი თანხიდან და გადარიცხოს ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების პირობები

**3.1. სამუშაოების შესრულება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით - ეტაპობრივად, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე შეთანხმებული იქნება შემსყიდველთან.**

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. 3 .2. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.4. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის, რაზედაც შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. შემსყიდველს უფლება აქვს მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი, იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება. ტექნიკური ზედამხედველის მიერ მასალის დაწუნების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება მშენებლობაში დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, სამუშაოს შესრულების მომენტში დაშვებული ხარვეზები საკუთარი ხარჯებით.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი - ტექნიკური ზედამხედველი.

4.2. ხელშეკრულების საგნის მიღება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმებით. სამუშაოს ეტაპის (შუალედური შესრულება) მიღება-ჩაბრების აქტი უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკური ზედამხედველის მიერ დამოწმებულ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს- ფ. №2, ასევე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსი ან/და დეპარტამენტის უფროსის მოადგილე- სერგო დუმბაძე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი ღებულობს მონაწილეობას სამუშაოს ეტაპის მიღება-ჩაბარების პროცესში. შესრულებული სამუშაოების (როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ) მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოებისხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

4.3. სამუშაოს ეტაპის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2, ფორმა №3 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

4.4. დამთავრებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი - ფორმა №2, ანაზღაურების სერთიფიკატი - ფორმა №3, სამუშაოების წარმოების ჟურნალი, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის

წარმომადგენლის მიერ, მასალების სერთიფიკატი, დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ მიერ გაცემული დადებითი დასკვნა (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი, აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რითაც დასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების რაოდენობრივი სიზუსტე;
2.შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა; 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ “ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო”-ში ან სხვა აკრედიტებულ პირთან მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით:
“წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა №2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა №2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე.
2. ფორმა №2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში.
3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.
4. გამოყენებული მასალების შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ მასალებთან.

**4.5. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად დასრულებულ სამუშაოთა მისაღებად სავალდებულო დოკუმენტაცია დეპარტამენტის 2016 წლის 08 თებერვლის №7 ბრძანებით დამტკიცებული “აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის და მისი წარმოდგენის პროცედურების განსაზღვრის შესახებ” შესაბამისად.**

4.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი ან/და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნდებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზების და წუნდების გამოსწორების ვადების მითითებით;
4.7. სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
4.8. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარებას ახორციელებს, დეპარტამენტის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობებისა და რეაბილიტაციის სამუშაოების მიმღები კომისია.

მუხლი 5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
5.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს სამუშაოს მიღებიდან.
5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი ან/და აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა.

5.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1.სამუშაოები დაასრულოს 90 კალენდარული დღეში ხელშეკრულების დადებიდან. სამუშაოების შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ეტაპობრივად, სადაც დაფიქსირებული იქნება კონკრეტულ ეტაპში განსაზღვრული დღეების რაოდენობა და კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. ეტაპის ათვლა იწყება ხელშეკრულების დადების დღიდან, ხოლო ეტაპის დასრულების ვადა გამოიანგარიშება კონკრეტულ ეტაპში მითითებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

**6.1.2. წარმოადგინოს დეპარტამენტში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყოველი ეტაპის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წერილობით, შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა №2 და მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.**

6.1.3. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.1.4. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუსაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

6.1.5. სამუშაოები აწარმოოს ტექნიკური ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს შემსყიდველს სამუსაოების დასრულების შესახებ.

6.1.6. აწარმოოს სამუშაოების ჟურნალი და ფარული სამუშაოების აქტები.

6.1.7. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.1.8. სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

6.1.9. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

6.1.10. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

6.1.11. ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ სათანადო აქტების გაფორმების პროცედურაში, ასევე ამ საავტომობილო გზაზე, გზის კუთვნილების ან ხელოვნური ნაგებობების ცალკეული ელემენტების დაზიანების ან ქურდობის ფაქტების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას, აგრეთვე საპატრულო ან ადგილობრივ პოლიციას საკითხის შემდგომი რაეგირებისათვის.

6.1.12. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6.1.13. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

6.1.14. ტენდერით გათვალისწინებულ საავტომობილო გზაზე მიმწოდებლის მიზეზით მოძრაობის დროებით შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მას აანაზღაურებს საკუთარი ხარჯით.

**6.1.15. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების პროცესში ისეთი სამშენებლო მასალების გამოყენებაზე, რომლების მოპოვებაზეც კანონმდებლობით განსაზღვრულია სათანადო ლიცენზიის არსებობა**

6.1.16.სამუშაოების წარმოების პროცესში მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა და დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.1.17 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

6.1.18. ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე.

6.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.2.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

6.3.1. აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

6.3.2. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

6.3.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.4.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.4.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

6.4.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

6.4.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

6.4.5. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა დამიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.
6.4.6 იმშემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას.
6.4.7. შემსყიდველი და მის მიერ ტექზედამხედველობისათვის შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი.

## მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
7.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადასახდელი თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.3. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის პირობები:
7.3.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ყოველი ეტაპის შესრულების ვადას გადააცილებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე ეტაპის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;
7.3.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, შესყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.3.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი სამუშაოებს გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრული რომელიმე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების 80%- ზე ნაკლებს შეასრულებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.3.4 2.5. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში (60 დღე) მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადად ჯარიმა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 %-ის ოდენობით, ასევე 61-ე დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პიგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ჯამური თანხა მიაღწევს სახელშეკრულებო ღირებულების 3 %-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შემდეგ ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხა მიმწოდებელს არ დაუბრუნდება. დაკავებული თანხა გადაირიცხება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე.
7.3.5. სამუშაოების უხარისხოდ და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში არსებული ხარვეზების აღმოუფხვრელობის ან/და შემდგომ განმეორების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით. ასევე მიმწოდებლის მიერ, მითითებული ხარვეზების აღმოუფხვრელობის და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3.6. ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველმყოფი საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტი) და გამოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
7.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.
7.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 7.4.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
7.4.3. ხელშეკრულების 7.4.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. არ მოითხოვება.

## მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით, დანართის ფორმით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს).
ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.
ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

## მუხლი 10. ქვეკონტრაქტორები

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.
10.2. ქვეკონტრაქტორს შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული

ანალოგიური სახის სამუშაოები.

10.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.5. მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტ ორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოსშემსყიდველს სამუშაოთა მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

10.6. მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე, ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.7. სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

## მუხლი 11. ინსპექტირება

11.1.ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

11.3.შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება დეპარტამენტის ტექნიკურ განყოფილებას. ხელშეკრულების პირობების საერთო კონტროლი ევალება დეპარტანტის უფროსის მოადგილეს სერგო დუმბაძეს.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს თანახმად საქართველოს კანონის "საავტომობილო გზების შესახებ", საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის შესახებ ინსტრუქციის, საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების, აგრეთვე ტექნიკური პირობების, ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

11.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

## მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

12.5. ნებისმიერ ცვლილება, რომელსა მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.7. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის სახით ან ელექტრონული ფოსტით (სკანირებული PDF ფორმატში) ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.8. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.9. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.10 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან: ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი-მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.11. რეკვიზიტები, ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების გრაფიკი, საკვალიფიკაციო მონაცემები, საგარანტიო უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტაცია თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

## მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**13.1. სამუშაოს შესრულების ვადაა 90 კალენდარული დღე ხელშეკრულების დადებიდან. სამუშაოები შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ეტაპობრივად, სადაც დაფიქსირებული იქნება კონკრეტულ ეტაპში განსაზღვრული დღეების რაოდენობა და კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. ეტაპის ათვლა იწყება ხელშეკრულების დადების დღიდან, ხოლო ეტაპის დასრულების ვადა გამოიანგარიშება კონკრეტულ ეტაპში მითითებული დღეების რაოდენობის მიხედვით.**

**13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

## მუხლი 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

## 4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა.
საკონტაქტო პირები: აპარატის წევრი- ზებურ ჩავლეიშვილი -მობ. 599-158798, აპარატის წევრი - როლანდ ბერიძე - მობ. 577-747533

შიდა ტელეფონი (0422) 24-73-66.

ელექტონული ფოსტა –**tenders@ajararoads.**ge

აფიდავიტი **დანართი №1**

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,______________________________________________

(სახელი, გვარი, პ/ნ)

______________________________________________სახელით,

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას ______________________________________________

______________________________________________

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ ______________________________________________

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------------------------------------

(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) სატენდერო წინადადების ფასი;

ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

______________________________________________

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

______________________________________________

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^1$ მუხლის შესაბამისად

დანართი №2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის მობილურის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

პრეტენდენტის ხელწერა და ბეჭედი (ბეჭედის არსებობის შემთხვევაში:

შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ხიჭაური-ნაღვარევი"-კმ0+000-კმ5+100 მონაკვეთზე დამცავი ზღუდარების მოწყობა.

ხარჯთაღრიცხვა, შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების უწყისები, ნახაზები,

მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან სისტემაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო
სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი

№ ________ "8" თებერვალი, 2015 წ.

# ბრძანება № 7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის და მისი წარმოდგენის პროცედურების განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის #59 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე *ვბრძანებ:*

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ შესყიდული დასრულებული სამუშაოების მისაღებად მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია:

- ობიექტის სრული დასახელება, ობიექტის ზოგადი მიმოხილვითა და ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლების მითითებით;
- სამუშაოების წარმოების ჟურნალი, თანახმად #1 დანართისა;
- ფარული სამუშაოების აქტი, თანახმად #2 დანართისა;
- რეცეპტი ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის მომზადებაზე;
- გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნა;
- ასფალტბეტონის ნარევის დაგების ჟურნალი, თანახმად #3 დანართის;
- ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის ნარევის, ასევე საფარიდან ამოჭრილი ნიმუშების ლაბორატორიული დასკვნა, თანახმად #4 დანართისა;

6010 ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72 ტელ/ფაქსი 995 (2422) 24-73-66

- მიწის ვაკისის დატკეპნის საკონტროლო ჟურნალი, თანახმად #5 დანართისა;
- შესაბამისობის სერტიფიკატები (პასპორტები) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციებზე, თანახმად #6 დანართისა;

2. მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი კალენდარული კვირის ვადაში მიმართოს დეპარტამენტს დასრულებული ობიექტების მისაღებად და წარუდგინოს მას ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დასრულებული სამუშაოების მისაღებად წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დასრულებული სამუშაოების მიმღებ მუდმივმოქმედ კომისიას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის შესწავლის შემდეგ ადგილზე შეისწავლოს წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისობა შესრულებულ სამუშაოებთან და სამუშაოების დასრულების დადასტურების შემთხვევაში, ანაზღაურებისათვის არა უგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს დეპარტამენტს სამუშაოების დასრულების შესაბამისობის სერტიფიკატი და მიღება-ჩაბარების აქტი.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დეპარტამენტის უფროსი გიორგი რომანაძე

დანართი №1

---

(შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება)

**სამუშაოების წარმოების ჟურნალი №**

---

(საავტომობილო გზა, კმ,პკ, ობიექტის დასახელება, ნაგებობის დასახელება)

სამუშაოს დასაწყისი ". . . ". . . . . . . . . . . . . . . . . . . . 20 წ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: ______________________________

ხელშეკრულება № ---------"----- "-------------------------- 20 წ.

ჟურნალი დაიწყო "------."------------------------ 20 წ.

ჟურნალი დასრულდა "-------"---------------------- 20 წ.

უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ______________________________

---

(საზედამხედველო ორგანიზაციის დასახელება (ტექნიკური ზედამხედველის გვარი)

ობიექტზე ჩატარებული სამუშაოების თანმიმდევრობა

| თარიღი | სამუშაოთა წარმოების მიმდინარე აღწერა და შესრულებული სამუშაოს ფიზიკური მოცულობა, სამუშაოთა წარმოების პირობები, ტექნიკური ხასიათის შენიშვნები | განზომილება | შესრულებული სამუშაოების რაოდენობა | სამუშაოს ხელმძღვანელი, გვარი და ხელმოწერა | ჰაერის ტემპერატურა | შემმოწმებელ პირთა შენიშვნები, აგრეთვე დეპარტამენტის ხელმძღვანელ მუშაკთა შენიშვნები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ მოსული მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და საერთო მდგომარეობის შესამოწმებლად | აღნიშვნა შენიშვნის მიღებისა და მისი შესრულების შესახებ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

დანართი №2

---

(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

---

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ფარული სამუშაოების აქტი №

---

(სამუშაოს დასახელება)

„—" ———— 20წ.

განხორციელებულ იქნა შესრულებული სამუშაოს დათვალიერება ----------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------

---

(სამუშაოს დასახელება, რომელზედაც უნდა იქნეს შედგენილი აქტი)

---

(საავტომობილო გზის ან მონაკვეთის დასახელება)

შემოწმების დროს დადგენილ იქნა:

---

(შესრულებული კონსტრუქციის აღწერა)

---

(გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების დასახელება)

---

(მოქმედ სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა)

---

(მუშა ნახაზებთან შესაბამისობა ან განსხვავება)

ნება ეძლევათ აწარმოონ შემდგომი სამუშაოები:

---

(შემდგომი სამუშაოების დასახელება)

დამკვეთი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი ————————————————

(ხელის მოწერა)

შემსრულებლის პასუხისმგებელი პირი ————————————————

(ხელის მოწერა)

დანართი №3

______________________________
(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

______________________________
(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ასფალტბეტონის ნარევის დაგების

ჟურნალი №

| თვე და რიცხვი | მუშაობის დრო | მუშაობის ადგილი | | | | შესრულებული სამუშაო | | ნარევის ხარჯი | | დატკეპნა | | ტემპერატურა | | ამინდის მდგომარეობა | შემსრულებლის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა | საზედამხედველო ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საწყისი | | ბოლო | | | | | | | | | | | | |
| | | კმ | პკ | კმ | პკ | სამუშაოს დასახელება | გრძივი მეტრი/კვადრატული მეტრი | ქვედა ფენა | ზედა ფენა | მომუშავე სატკეპნების რაოდენობა | სატკეპნების სახეობა | ჰაერის | ნარევის | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

დანართი №4

______________________________

(კონტრაქტორი ორგანიზაციის დასახელება)

______________________________

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა, კმ, პკ)

ასფალტბეტონის საფარიდან ამოჭრილი

ნიმუშების შერჩევისა და გამოცდის ჟურნალი №

| რ ნ | ნიმუშის ნომერი | ამონაჭერის აღების ადგილი | | | თარიღი | | ასფალტბეტონის შემადგენლობის ნომერი, ტიპი | ფენების სისქე | | შეჭიდულობა ქვედა ფენასთან ან საფუძველთან | რამდენი გრძ.მ ან მ2საფარი ხასიათდება ნიმუშებით | ამონაჭრების გაგზავნის თარიღი ლაბორატორიული გამოცდისათვის | გამოცდის შედეგები აკმაყოფილებს თუ არა სტანდარტების მოთხოვნებს | ლაბორანტის ხელმოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გზის დასახელება | კმ | პკ | ასფალტბეტონის დაგების | ამონაჭრების ნიმუშების აღების | | ქვედა ფენის | ზედა ფენის | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

დანართი №5

შემსრულებელი ორგანიზაციის დასახელება

(ობიექტის დასახელება და ადგილმდებარეობა კმ პკ

მიწის ვაკისის დატკეპნის საკონტროლო ჟურნალი №

| თარიღი | ყრილის საპროექტო სიმაღლე მ | გრუნტის სინჯის აღების ადგილი | | | დატკეპნილი ფენის სისქე მ | ნიმუშის ლაბორატორიული გამოცდის შედეგები (დასკვნა) | გამოყენებული სატკეპნი მანქანების სახეობები | შემსრულებლის ლაბორანტის ხელის მოწერა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კმ, პკ, პლიუსი | მანძილი ყრილის ღერძიდან მარჯვნივ (+) ან მარცხნივ (-) მ-ში | ფენის სისქე მიწის ზედაპირიდან, მ | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |

შენიშვნა: ჟურნალის წარმოება ისე უნდა ხდებოდეს, რომ გრუნტის სიმკვრივის გამოცდის შედეგები თითოეულ პიკეტზე და პლუსზე უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ადგილას, გამოცდის ჩატარების დროის მიუხედავად

დანართი-6

შესაბამისობის (გადახდის) სერთიფიკატი

სერთიფიკატის N 2
სერთიფიკატის გაფორმების თარიღი:
სერთიფიკატის ტიპი: **სამუშაოს დასრულების**

შემსყიდველის დასახელება:

მომწოდებლის დასახელება:

მომწოდებლის ს/ნ

ხელშეკრულების N:

ხელშეკრულების თარიღი:

ხელშეკრულების საგანი:

შესრულების ვადა:

შესრულების ვადა (ცვლილება):

მოქმედების ვადა:

მოქმედების ვადა (ცვლილება):

| N | დასახელება | თანხა (ლარი) | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ხელშეკრულების საწყისი ფასი | | |
| 2 | ხელშეკრულების საბოლოო ფასი | | |
| 3 | მიღებული ავანსის ოდენობა | | |
| 4 | ადრე დამოწმებული სამუშაოთა ღირებულება | | |
| 5 | სამუშაოთა ღირებულება მიმდინარე სერთიფიკატით | | |
| 6 | შესრულებული სამუშაოთა საერთო ღირებულება (4+5) | | |
| 7 | საავანსო თანხის დაკავება მიმდინარე სერთიფიკატით | | |
| 8 | ჯამური საავანსო თანხის დაკავება | | |
| 9 | 15 % იანი დაკავება მიმდინარე სერთიფიკატით | | |
| 10 | ჯამური 15 % იანი დაკავება | | |
| 11 | დარიცხული პირგასამტეხლო | | |
| 12 | სულ დაკავებული თანხა მიმდინარე სერთიფიკატით (7+9+11) | | |
| 13 | წმინდა გადასახდელი თანხა მიმდინარე სერთიფიკატიტ (5-12) | | |

დამოწმებულია შემსყიდველის მიერ:

დამოწმებულია შემსრულებლის მიერ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო
სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსი

№ ________ „24“ აგვისტო 2015 წ.

# ბრძანება № 105

**„სატენდერო მუდმივმოქმედი კომისიის და კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2008 წლის 26 დეკემბრის №59 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსის „სატენდერო მუდმივმოქმედი კომისიის და კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ 2015 წლის 5 იანვრის #1 ბრძანების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:
ა) ვახტანგ მჟავანაძე - დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (აპარატის უფროსი);
ბ) როლანდი ბერიძე - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
გ) ზებურ ჩავლეიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი.“

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დეპარტამენტის უფროსი გიორგი რომანაძე

6010 ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72 ტელ/ფაქსი: 995 (0422) 24-73-66